№ 2998
ოთხშაბათი,
8 თებერვალი

ცნობის ფურცელი

№ 2998
ოთხშაბათი,
8 თებერვალი

ჟამთა ცვლა: წელწყდეში—6 ს. თვე—დამატებით—50 კ. დამატებით—75 კ. ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჭეშტატო, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადების მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დ. ლ ჭერაზე, № 27. განცხადებანი რუსულ-ფრანგულად და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტიკოლის ან ამხ. გ-ცხლებითა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე ენდა გამოგზავნილნი.—პირადების მილაპარაკება რედაქტიასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუა-დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავა ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цховисъ-Пурцели“-„Мозаика“. ტელეფონი № 372

1906 წელს „ცნობის ფურცელი“ სურათებიანი დამატებით

გამოჯ- ამოჯე შრომებით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ.

დაბლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბაჩარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქალალდი. ქალალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაზეთი **ერთის წლით 6** მან. **ერთის თვით 50 კაპ.**

საზღვარ-გარედ გაგზავნით **ერთის წლით 11** მან. **ერთის თვით 1 მან.**

გაზეთის ხელის მოწერით გაეცნობიანებით სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა ბატონი ოსკარ შვერლინგისა და გოგია შვილისა, მხატვრები გრინევიცკი, ბერიოზე და როტტერმანი.

ერთის ფურცლის ფასი ყველგან ერთის შაურის დაშტებით გაკეთებულია **თემპერატურული ჟურნალი „ნაპერწკალი“.**

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цховисъ Пурцели“.

დილით ქართული ვარამოდგენა საბაზრიო თეატრში

ხუთშაბათს, 9 თებერვალს, 1906 წ., ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ვალერიან გუნიას საბავშვოსთვის ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, ნაშუადღევის 12½ საათზედ.**

I
ოთხი გმირი
ისტორ. დრამა 3 მოქმ. გურულების ცხოვრებიდან ვ. გუნიისი.

II
პირველად ახალი პიესა
ინგალია
ანტრაქტი ერთის მოქმედ. თარგ. ვ. გუნიისი.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი

წარმოდგენა დაიწყება დილის 12½ საათზე, გათავდება 3-ზე.

ადგილების ფასი დაკლებულია. შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.

მზადდება წარმოსადგენად „ნიაღვარი“, „ავადმყოფი ხალხი“, „ღალატი“.

რეჟისორი ვ. გუნია.

განცხადება

ტფ. მედროგეთა და მეეტლეთა შესახებ არსებული სავალდებულო დადგენილებათა მე-13 წ-ის თანახმად, ქალაქის გამგეობა **ითხოვს** ეტლების პატრონთ მობრძანდნენ 17 თებერვლის ნაშუადღევის 3 საათზედ ქალაქის გამგეობაში თავიანთ ბლიახებით ან სავალდებულო დადგენილებათა წიგნაკებით სტაროსტისა და მის კანდიდატის ასარჩევად. (5.—3—1)

ვისაც სურს

სახლი ააშენოს, ან უკვე აშენებული სახლი გადაკეთოს გემოთანსა, თავად და მკვიდრთა, ვისაც სურს ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას ყველასათვის ხელმისაწვდომ პირობებით. ვიღებ სახსოვნ სამუშაოსაც.

მსურველებმა მომმართოს: 1) სასახლის ქუჩაზე, **სარაჯიშვილის** სახლის ეზოში, Бюро „Сотрудникъ“-ის კონტორაში, ტელეფონი № 60, ან 2) ჩუღურეთში, გონჭარნი ქუჩაზე, სახ. სახლი № 28. (10—5—3)

ტეხნიკოსი გიგო თოიძე.

ტფ. თეატრ-სხამეხთა შეტაკების დროს

დაკარგა მილიციონერი

ივანე ანდრიას ძე ტორიკაშვილი. 23 წლისა, სამუალო ტანისა, შავგრიმანი, შავ თვალ-წარბა, შავ წვერ-ულვაშებიანი. ვინც რამ იცის ან გაიგოს იმის შესახებ, ვთხოვ მაცნობოს მე, იმის ძმას სიმონ ანდრიას ძე ტორიკაშვილს, „ცნობ. ფურც.“ რედაქციის ადრესით.

P.S. ვთხოვ ადგილობრივ სომხურ და აგრეთვე თბილისურ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს ჩემი განცხადება. (უ. 6—4)

ვ. გაბდილას წიგნის მაღაზიაში

იყიდება

მრავალი თანამედროვე წიგნები რუსულ და ქართულ ენებზე.

წიგნის მაღაზიის ადრესი: ტფილისი კიროვის ქ. № 7 (10—10)

ა. პ. შულგინა-მესხი

გავეცნობილები სოციალურ სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილებს ფორტეპიანოზედ და იტალიურ ენებისა. ვერის დაღმართი № 1 (თვ.)

ქალაქ გათუშვი

ექვსოთახ ბერძენშვილი და ახლოეს დიდიტრიადი ყიდიან საუკეთესო აბრეშუმის თესლს ხრისტოფლიდის ფირმისას და იმით ღვეს სანუთი ქ- ბათუმში ქუთაისის გუბერნისათვის, რამდენიც საჭირო იქნება. ს ხრისტოფლიდები. (8—8)

ექიმი
მ. პ. ბოჭიგბანოვი
სიმონიანის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საათობის 5—7½ საათზედ. (თვ.—23)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. ვუჩაკოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტის ქირურგიულ კლინიკისა, იღებს სპეციალურად საშვილოსნის ავადმყოფებს, ყოველ დღე, ქალის სანეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 11 საათიდან 12-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშვილის ქ., ს. № 1. ცვლების საქმის ჯაზის პირადობინ. ტელეფონის 711. (51—368—56)

ექიმი
გ. ა. გედალინი
მაღათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვერენიულ და ქალის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე. საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (31—5.—30)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი მისიელ გედალინოვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამით 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი
ა. ნ. დიაკანიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ქალის და ვენერიული ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—7-მდე, გარდა ცვრა საღამისი. ლორის-მელიქოვის და ბაარანის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 8. (წლ.)

ბებიაქალი ექიმობს
ი. ზ. კანდელაკია
განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწმალობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, მატანოვის სახლი № 32. ძველ ბინის გვერდზე.

ექიმი
პ. პ. ალადაზიანი
იღებს ბავშვებს და შინაგან ავადმყოფებს დილის 8—9 ს., საღამოს 4—7 ს. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა (19—10)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. ქუთხე კირონის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი ხვანიშვილისა.

სამეურნეო ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

პედმიციის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

შიდებენის კარგად მოსაკვლელ ავადმყოფნი

მ. ზ. აღაჯანოვი. 1—2 ს. შარბისა, ვენერ. ულულის და ტყავის ავადმყოფნი.

ე. ნ. ბლიახაკოვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგან ავადმყოფებან ელექტრონით წმოლიან.

პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფნი და ბებიაობა.

მ. ა. ტატაშოკოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფნი.

ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. კალის ავადმყოფ. ბაბი და ბებიაობა.

მ. პ. კიმოტე. 1—2 ს. სადისტაპრო ავადმყოფნი.

მ. ა. ილიინი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფნი.

პ. პ. ბეიდა. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფნი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ავრეთვე ყველაზის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კოსსულტაციები მორიგეებით. სასტაციონარო განყოფილება შეიცავს სახლებით პალატას და ცალკე ოთახებს. (150—44

ექიმი
კბილის
ივანე პ. ახალდაშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ბიდის კ. (№ 21) კუთხეში, აგვლის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამის 5—7-მდის.
ვიკა-ოკულისტი 10—1-მდის.

ტფილისი, 8 თებერვალი.

„ამაზედ მეტი შეუძლებელია!“

ეს დაწყვეტილი სიტყვები თან დასდევდა რუსეთის მცხოვრებს ბის მოპონინებას. როცა თავდასულობა და თვითნებობა უმაღლეს წერტილამდე აღწევდა, მცხოვრები სასოწარკვეთილებით ამბობდა: „ამაზედ მეტი შეუძლებელიაო“, და ელოდა სასწაულს, ელოდა სიდაბლეს, რომ ბნელი ძალა, ამოშრტავს ის თავის ძალონეების, გაჰქრება, ვითა სიზმარი... მაგრამ ამაო იყო რუსეთის მცხოვრების ზოლონდინი. ბნელი ძალა, თითქოს დასცინისო, კვლავ ჰპოულობდა ახალს. უფრო ძლიერს საშუალებს თავის ძალების გასაფართოვებლად და გასაბატონებლად. მცხოვრები ივიწყებდა ძველ საშინელებას, რომელიც ჰკრთებოდა ახალთან შედარებით, კვლავ იმეორებდა: „ამაზედ მეტი შეუძლებელიაო“ და კვლავ ელოდა სასწაულს... მაგრამ სასწაული არა ხდებოდა.

გაითვალისწინეთ უკანასკნელ წლების ისტორია. იგი იყო ჩვენისაც და სასწაულის მოლოდინის ისტორია. როდესაც ვიაჩესლავ ფონ-პლევეს რკინის ხელმწიფე ჩაიგდეს სადავე მმართველობისა, რუსეთის მცხოვრები, ჭოთინიენებიდან გამოსული, ჩერჩუელებდა: „ამაზედ მეტი შეუძლებელიაო“, და იმედოვნებდა, რომ მალე ბოლო მოეღებ შავ-ბნელ რეჟიმს. მართლაც, ფონ-პლევეს უფლობამ ჩაიჩუმა ყველა, ვისაც კი ენის გაჭრება შეეძლო; ფონ-პლევეს უფლობამ მოსპო საზოგადოებრივ თვითმპქრებების ჰირდილიც და დაიფიქრა მეფობა ცარკულიარების მბრძანებლობისა; ფონ-პლევემ თვი მოუყარა ცხოველ ძალებს, რაც ი მოიპოვებოდა რუსეთის საზღვრებში, ი საპყრობილეებში ჩაჰყარა; ერთის სიტყვით, ფონ-პლევემ შეაჭრა რუსეთის ცხოვრება. მაგრამ, რადგან ხალხი უსულო მანქანა არ არის, არამედ ცოცხალი ორგანიზმი, ამიტომ რუსეთის მცხოვრებს ეგონა, რომ გაუსაზღვრელმა თვითნებობამ თვით გაითხრა სამარე და, დღეს თუ არა ხვალ, უთუოდ დაიმარხება საუკუნოდ თავისავე ხელით. „ამაზედ მეტი შეუძლებელიაო“, ჰფიქრობდა რუსეთის მცხოვრები.

დრო კი მიდიოდა. ერთ წამს თითქო ცა გადიწმინდა და მზის სხივმა გამოაშუქა. მცხოვრების გულმა მხიარულად ტოკვა დაიწყო. მაგრამ ხანმოკლე, ნაღრევი იყო მხიარულება. რუსთა და იაპონელთა ომი მწვავდებოდა. რუსების დამარცხება დამარცხებას მოჰყვებოდა, პიროკოტია კი არ იშლიდა, არა სცხრებოდა. დამთანის სიცოცხლე ათი თანამბონი სწირავდა თავის ჯიუტობას, თავის ერს და ყურს არ უგდებდა ხალხის ხმას. მილიონებს ჰკრიდა ოკეანეს წყალში და არ დაგიდევდა ხალხის გაღატკებას. დითთა-დღე აწკარადებოდა საშინელი, პირდაპირული, ჩირქით სავსე ჭრილობა რუსეთის რეჟიმისა; და გულ-ამღვრეული რუსეთის მცხოვრები, რომელსაც დაავიწყდა პლევეს უფლობა, კვლავ გაიძახოდა: „ამაზედ მეტი შეუძლებელიაო“, კვლავ იღვიძებდა იმედი: „ჭრილობები ისეთია, რომ შეუძლებელია ავადმყოფის სიცოცხლე; სიკვდილი აუცილებელია“. მაგრამ ისევ ძველებური ამბავი განმეორდა.

გათენდა ცხრა იანვარი. მშიერ-მწყურვალების ლაშქარი ხატების გარეშე ზღვრა ლუჯა-პუროს და სამართალის საათხელნელად. უიარაღო ხალხს ტყვია დაახვედრეს სამართლის მაგიერად. იმ დღეს რუსეთის პიროკრატიამ ჩაიღინა ისტორიული დანაშაული, რომლის მზგავსი არ მოიძებნება. ყველას ეგონა, რომ ცხრა იანვარმა რუსეთის პიუროკრატია დააყენა უფსკრულის პირთან, სადაც აუცილებლად გადავარდება, რადგან „ამაზე მეტი შეუძლებელიაო“.

დრო კვლავ მირბოდა. გარემოებანი იმედს აღვიძებდნენ მცხოვრების გულში. იყო დღე, როცა თითქმის იმედის აღსრულებას მოესწრო. 17 ოქტომბერს მცხოვრების სახე გაბრწყინდა, მედიდურად დაიყურა: „ეს თავისუფალი მოქლაქე ვარ!-ო, ალბად ყვირილი ძლიერ ხმა-მაღალი იყო. ალბად შეაწუხა ზეციი მდგომნი, და რუსეთის მიდამოები შეიღება „მოქალაქეთა“ სისხლით. ხალხი თავისუფლების მოპოვებას დღესასწაულობდა და სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ეს იმისი წმიდა უფლებაა. მოწინააღმდეგე კი ულვაშებში იცინებოდა და ეშმაკის საქმეს ამზადებდა: „თავისუფალ მოქალაქის“ სისხლი მოსწყურდა. სისხლი, სისხლი... კვლავ კვნესა და სისხლი... მცხოვრები, გუშინ თავისუფალი მოქალაქე, კვლავ ამბობდა: „ამაზედ მეტი შეუძლებელიაო!-ო მაგრამ უკანასკნელი დღე ბნელის რეჟიმისა მაინც არ დადგა, მაინც ვერ იქნა და ვერ შემსრული მისი ბნელი ძალა. პირიქით, ძალა ემატა.

აგერ თვეზედ მეტია რუსეთი, მთელი რუსეთი გმინავს, სისხლით იღვრება, ტყვლის ალში გახვეული ენით გამოუთქმელი და კალმით აუწერელი საშინელება ხდება ტანჯულ რუსეთის სიცრცაზე, კიდით-კიდმდე. ძარღვებში სისხლი იყინება, თავზე თმა იბურძნება, მკერდში გული აღარა სცემს, რაცა კითხულობ ან ყურს უგდებ ბიუროკრატიის საზარელ შურისძიების ამბავს. ოქტომბრის საშინელების შემდეგ ყველს ეგონა, რომ ბიუროკრატიამ დალია ყველი ძალა, ან უნდა სამარეს ამოეფინოს, ან უნდა დაუთმოს ახალ ცხოვრებას. დეკემბრის და იანვრის საშინელი დღეები ყველასთვის წარმოუდგენელი იყო, რადგან კვლავ სწამდათ: „ამაზედ მეტი შეუძლებელიაო“. სინამდვილე, საზარელი სინამდვილე სხვას ღაღადებს. ვერავინ წარმოიდგინს, ვერავინ მიხვდება, რას ჩაადენინებს კიდევ რუსეთის ბიუროკრატიას შავი შემოქმედებითი ძალა, რომელმაც თავის ხელობად გაიხადა საშუალების გამოძებნა ცხოვრების სასურველ წერტილზე შეყენებისათვის.

ტყუილი იმედია, რომ რუსეთის ბიუროკრატია თვით გაითხრის სამარეს, თვის ხელით თვითონვე ჩაჰქოლავს და გულზე მიწას დაიყრის. იქნება სამარე გაითხაროს, მაგრამ ჯერ იმ სამარეში ათი ათასს სხვას ჩაჰყრის, სანამ თითონ თან არ ჩაჰყვება. ხალხს უნდა ახსოვდეს, რომ დაწყვეტილი „ამაზედ მეტი შეუძლებელია“ თავის თავის მოტყუებაა. არა, „ამაზე მეტი შესაძლებელია, და საქირო თვით ხალხმა იზრუნოს, რომ „ამაზე მეტი“ აღარ მოხდეს. ბუნებრივ განვითარების გზა ხანგრძლივია. ხალხმა თავის ძალით უნდა შეამოკლოს იგი, თუ არა სურს კვლავ გმინვა და ვნებანი, თუ სურს შავი დამე ბრწყინვალე დღედ იქცეს.

რა ფასი აქვს უდანაშაულოთა სისხლს?

უცხოეთის გაზეთები ამ ბოლო დროს დიდ ყურადღებას აქცევენ რუსეთის საქმეებს. ყოველ ცოტაღ თუ ბევრად ცნობილ გაზეთში დრო-გამოშვებით მაინც იბეჭდება წერილები რუსეთის შინაურ საქმეების შესახებ. ერთი გაზეთი, სხვათა შორის, ამბობს, რომ რუსეთი ის არ არის დღეს, რაც ბლევეს დროს იყოო. მართლაც და ამ ორის წლის განმავლობაში საკვირველის სისწრაფით სცემდა რუსეთის ცხოვრების მაჯა და ამ სისწრაფის შეიძებით ხალხი, ბლევეს დროს კიდევ ცოტა უწლოვანი და მონა, დღეს პოლიტიკურ ლეზრას იღებს. ახლოა, სულ ახლოა ის დროც, რომელსაც ის სრულიად მოაწიფება.

რას უნდა მივაწეროთ ასეთი ცვლილება ამ მოკლე ხნის განმავლობაში, თუ არ გულის გამლეკვით ძგერას, თუ არ იმ ჯიუტ-ღვლეს ძალით ბრძოლას ხდება საკუთარი ბრი ამა თუ იმ საგანზე და ბევრი ძალა-უნებურად გამოდის თავის ბრილ დასაცავად, რადგან ყველა გრძნობს, რომ იწყება, როგორც ამბობენ ხოლმე, ახალი დიდებული ეფიციალური» (переломная всѣхъ цѣнностей) და, თუ ამ დიდებების დროს ხმა არ ამოიღო, შეიძლება ყოველისფერი დაკარგოს. აი ამისთანა მდგომარეობამ გამოიყვანა ყველა პოლიტიკურ პრძოლის ასპარეზზე და თუ ჯერ არ შეუქმნია, ჰქმნის ხალხ რუსეთის მოქალაქეს. თუ რა ძლიერი იყო ამ ორი წლის განმავლობაში მცხოვრებთა ნერვების მუშაობა, თუ რა დიდი გზა გაიარა აზროვნ ეფოლიუციამ, სჩანს ორიოდე მაგალითიდან.

ავიღოთ უპირველეს ყოვლისა „17 ოქტომბრის კაეშირისა“ და „უფლებრივ წესიერების“ წევრები. ვის არ ახსოვს, რანი იყვნენ შიპოვი, გუჩკოვი და სხვები ნ ოქტომბრის მანიფესტის გამოცემამდე? მაშინ ამათი პოლიტიკური პროგრამა ნ ოქტომბრის მანიფესტის სათანადოთ ითი არ მიდიოდა. იგი იყო ცდა სლავიანოფილთა თეორიის განხორციელისა და განხორციელებისა, მაგრამ დიდი დღე არა ჰქონია „განახლებულ“ სლავიანოფილობას. „ხელმწიფეს კანონმდებლობის უფლება და ხალხს კი რწევის უფლებაო“, ამბობდნენ ისინი, მაგრამ ამ დევიზსა სულ ორიოდე თვის განმავლობაში იცოცხლა. შეიცვალა ეს დევიზი მმართველ წრეებში და მაშინვე შეიცვალა თვით სლავიანოფილებაც შეხედულებაც, და დღევანდის პირველ რიცხვებში, როდესაც მინისტრთა საბჭოს თათბირი ჰქონდა საყოველთაო არჩევნების შესახებ, შიპოვი, ტახტოვი და ბობრინშევ-პუშკინი თურმე დიდის სიცხარით ამტკიცებდნენ საყოველთაო არჩევნების საჭიროებას რუსეთში. „აქამდის მე სხვანაირად ვფიქრობდი,—სთქვა ბობრინშევ-პუშკინმა: —ახლა კი დავრწმუნდი, რომ რუსეთს დაიხსნის მხოლოდ საყოველთაო არჩევნებიო“. აი სადამდის მივიდა სლავიანოფილი! არა თუ საკანონმდებლო კრების დამცველად გამოდის იგი, საყოველთაო არჩევნების საჭიროებასაც კი აღიარებს. ყველა ეს მხოლოდ იმითი აიხსნება, რომ თანამედროვე მოძრაობას ძირიანად შეუცვლია იმისი გული და გონება.

ასეთივე ცვლილება ხდება თვით მმართველ წრეებში. გავიხსენოთ კუტლერი თავის პროექტით, რომელიც შეეხება სახატონო მიწების ექსპროპრიაციას. თუმცა კუტლერმა ვერ გაიმარჯვა და, როგორც გუშინ დავიწამ გვაცნო, სამსახურიდანაც გადადგა, მაგრამ თვით ამ გვარ საკითხის ადრძრაც კი მმართველ წრეებში დიდი რამ არის. ადრე თუ გვიან კუტლერის პროექტი უთუოდ გაიმარჯვებს, რადგან, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, სხვა ხსნა არ არის რუსეთისათვის.

დიდ ცვლილებას განიცდის ამ ჟამად ოქრუნვე სოციალ-დემოკრატიული პარტიაც, განსაკუთრებით პარტიის ოქრარული პროგრამები. წინად, როგორც ყველამ იცის, სოც.-დემოკრატების ოქრარული პროგრამები განისაზღვრებოდა ერთეთ წოდებულ „ჩამონაწერებით.“ ისინი ფიქრობდენ, ამ ჩამონაწერებით დაეცმაყოფილებინათ გლეხობა, ბევრი უმტკიცებ ამისთანა პროგრამების უფრთხისობა, მაგრამ ვერაფერმა ვერ გასჭრა, ვიდრე თვით ცხოვრების სინამდვილემ არ შეატანინა პარტიას პროგრამებში „მთელი მიწა.“

ეს კიდევ არაფერი. ახლად გამოსულ სოციალ-დემოკრატიული ორგანო „პრავდა“ ამბობს, რომ „ყველა გჰპოსყიდული მიწები უნდა საზოგადო საკუთრებად გადაიქცეს და რენტა კი საზოგადოების კულტურულ საჭიროების დაკმაყოფილებას მოახმარდესო.“ ასე ამბობს ეხლა სოციალ-დემოკრატიული ორგანო. წინად სოციალ-დემოკრატები სულ წინააღმდეგნი იყვნენ მიწის ნაციონალიზაციისაც და სოციალიზაციისაც და ეხლა კი, როგორც ხედავთ, ურას არ ამბობენ ამაზე. ეს სულ თანამედროვე მოძრაობის ბრალია, რომელიც, როგორც უკვე ვსთქვით, ძალიან აფიქრებს კაცს, ამშვენებს გამალებით მის ნერვებს და ჰქნის კაცის გულს და გონებას; და რაც უფრო მწვავეა ეს მოძრაობა, იმდენად უფრო მეტის სისწრაფით მუშაობს გონება და უფრო ძლიერად იცვლება ხასზოგადოებრივი ფსიხოლოგია. ამიტომ ნუროვინ იტყვის, რომ ყველა ის მსხვერპლი, რომელიც სრულიად უდანაშაულოდ შეიწირა რევოლიუციამ დეკემბრის და იანვრის განმავლობაში, უაზრო მსხვერპლი იყოო. არა, სისხლის თვითეული წვეთი ცულს აცოცლებს, გვაფხიზლებს, თვალს გვიხელს და გვარშვენებს, რომ ცვლილება საჭიროა. რამდენადაც უფრო წმიდაა ეს სისხლი, რამდენადაც უფრო უდანაშაულოა მსხვერპლი, იმდენად უფრო რწმუნდება კაცი, რომ საჭიროა ძირითადი ცვლილება, რომ სხვაფერ ცხოვრება აუტანელია.

დასავლეთ საქართველოში

გზა და გზა (ნახული და გაგონილი). ზესტაფონში ორ დღეს დავყავ. აქედან სენაკისკენ გავემგზავრე. ზესტაფონის ვოგზალზე დროთა მივედი. ჩვეულებრივ ივმრავლეს ხალხისას ვეღარ შეამჩნევდი აქა; თითო-ოროლა კაცს თუ შეამჩნევდით ადგილობრივ მცხოვრებთაგან, თორემ დანარჩენი სამხედრო უწყების ხალხია.

მატარებელმა დაიგვიანა. ის ამბი, რომ დაგვიანების გამო ქუთაისში მატარებელი დაბინების შემდეგ მიდგ, ბევრს მოსულენებას არ აძლევდა და ზოგიერთმა ქუთაისში წასული გადასდო.

ბევრის ცდის შემდეგ მატარებელი მოვიდა. ვიგრძნობ დედის დავიჩირე და არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ ჩემმა მეზობლებმა ბაასში ჩამიბეს. ბაასის საგანი, მკითხველი უკვე მიგხვდება, ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა იყო. უმრავ-

ლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ იმერეთი იმ დარბევის შემდეგ, რომელიც წლად ხვდა, დიდ ხანს ვერ გაიმართება წელში.

— რასა ბძანებთ, ბატონო,—სთქვა ერთმა ხანში შესულმა კაცმა, თქვენ ახალგაზრდა ხალხი ხართ და ადვილად მიგიჩნიათ ის უბედურება, რომელიც მოგვევლინა. მე, ბატონო, თქვენზე ბევრი მინახავს, მახსოვს და კარგად ვიცი, რა წყვა და დადგით მოიპოვა ჩვენმა კაცმა ის პატარა კუთილ-დღეობა, რომელიც ყველასათვის თვალ-საჩინო იყო. მე კარგად მახსოვს, რომ 30—35 წლის წინად ჩვენმა კაცმა ფეხსაცმელი არ იცოდა რა იყო, გასათხოვარი ქალი შვილებისა და დედაკაცების მთელ ჩაცმა-დახურვას წარმოადგენდნა სამოსლის პერანგი და სხვა არაფერი. თავშალი რა არის—იმის სასყიდლის-კი ვარ მოგახვებით ჩვენს გლეხს. იმ ხანებში რკინის გზამ გაიარა, სოფლელი სამუშაოც გავიდა და თითო ოროლა ფარა შეიტანა სახლში. რკინის გზის გაყვანამ შავი-ქვის წარმოებაც მოჰყვა და ჩვენ კაცს მეტი სამუშაოი გაუჩნდა. გროში გროშს მიუმატა, კაპეიკი კაპეიკს მიაწება, ერთი მტკაველი ადგილი იყოდა და აქ რომ ფეხი გაიბაგა და მამული გააშენა, სახლიც დადგა და მოაწყო. ეს ადგილი სთქმელია და საქმეს-კი 40 წელიწადი მოუნდა. მიათვალეთ მიმდინარე წელიწადს 40, მაშინ იქნება წელში გაიშალოს ხალხი და მანამდე ს-ი ვრომისა და ფუთ და დგვის ვარდა არაფერი მოელის ჩვენ ბიდ-კრულ ხალხს.

— მაშინ სულ სხვა დრო იყო,—გამოეცამთა ჩვენს შესაუბრეს ერთი ახალგაზდა კაცი. ხალხი სიბნელით იყო მოცული, ბატონ-ყმობის უღლის ნაშთები ჯერ ისევ ტკეპნოდა და რა-და საკირველია, რომ თითქმის ნახევარი საუკუნე მოუნდა ჩვენს ხალხს მონობის დღის მოციღებას და თავისუფლად ამოსუნთქებას. ეხლა სულ სხვა დროა—ხალხი შეგნებული და განვითარებული და იმდენი დრო აღარ მოუნდება, რომ ფეხზე წამოდგეს და წელში გაიშალოს. ამით ის არ მინდა ვსთქვა, რომ დღევანდელი მდგომარეობა სანეტაროა, წინააღმდეგ, მე კარგად ვხედავ, რა დიდ გაჭირვებაშია ჩვენი ხალხი ჩვარდნილი და ხანდახან კიდეცაც მეშინიან, ვაი თუ სასოწარკვეთილებას მიეცეს მეთქი, მაგრამ ღმერთი მოწყალეა—გაიელის ქარიხბალი, სიმშიერე დამყარდება, ჩვენი ხალხი კონებს მოიკრეფავს და შედგება შეუდგება შრომას, რომ განაახორციელოს ის იმედები, რომელმაც ათმოძრავა, ფრთები შეასხა და ცა ქუდად აღარ მიაჩნდა და ღმამიწი ქალამნად.

— ღმერთმა გისმინოს, შვილო,—დაწყო ისევ ხნიერმა კაცმა,—მაგრამ მაგის წინშეც ვერა ვხედავ. ვინც გუშინ არწივივით თამამად იყურებოდა და მზად იყო მთელს ქვეყანას ებრძოლებოდა, დღეს თავჩაქინდრული დადის და თავის ლანდისაც ეშინია—ამისთანა იმედ მიხდილი კაცი მოგაღლს ღერ შეჰქმნის...

— ჭეშ, ბატონო, წარსულმა რეემა დავეღვა, —სთქვა ცოტა მოშორებით მდგომმა მოხუცებულმა ახნაოვანმა,— ხალხი თავის თავს მიანებეს და ამით თითქო უთხრეს, რაც გინდა, ის გააკეთეო. ხალხმა ეს ვერ შეიფერა, როგორც ბოზკერი გოგო ბავშვი ვერ შეიფერებს ხოლმე გადამეტებულ ნებივრობას, და მეტი რომ არა ვთქვა, გონება დაჰკარგა—წარმოიდგინა, რომ დაუძლეველი გმირია და შეეძლო იმისთანა ძალას, რომელიც ერთი ხელის მოქნევით მიწასთან გაასწორა; ეხლა ნანობს, თავში ხელს იცემს...

მოხუცმა შეატყო, რომ მსმენელნი მრისხანედ და უკმაყოფილოდ უყურებდნენ და მიყურება. გაეჩუმდით ჩვენც.

რიონის სადგურს ვუახლოვდებოდით. ზოგი გადასასვლელად მოემზადა. სხვათა შორის, ერთი სიბნელო კაციც. ეს რომ შეამჩნია ერთმა ქალმა, დამტვრეულის რუსულით მიმართა ფიცერს: „ეუთაისში მიბრძანდები?“ სადაურო პასუხი რომ მიიღო, ქალი შეწუხდა და დაიწყო გოდება: „ეხლა რაღა გვეშველება, ვინ იქნება ჩვენი პატრონი; ყაზბეგმა და სალდათებმა სული გაგვიმწარეს, გადმოგვცილით თუ არა კორტახს, და ეხლა თქვენ წახვალთ და იგივე დაგვმართონა. ხარბინიდან მოვდივარ, ბატონო, და ის შიში და გაჭირვება არ გამომივლია, რაც ჩემს სამშობლოში ვნახე“. ჩვენ დავიმედეთ შეშინებული ქალი, მფარველობა აღვუთქვით.

მატარებელი რიონის სადგურზე გაჩერდა. ქუთაისიდან მოსულებმა ახალ-ახალი ამბები გვითხრეს: ერთმა სთქვა, რომ ქუთაისის პოლიციმეისტერის თანაშემწე დავითაძია დატუსაღესო, მეორემ გადმოგვცა, რომ რაჭველები ქუთაისიდან წასულ ჯარს გაუმბარდენ წენისციხეს და ზემო რაჭაში ღიარ შეუშვებიო, მესამემ გვითხრა, რომ ხონი და ზუგდიდი იწვისო, მეოთხეშაც დაიწყო, მაგრამ ამ დროს მატარებელიც დაიძრა.

ჩვენი ფრთხილი და წინდახედული თანამგზავრი მოხუცი აზნაური წასულიყო და დანარჩენებს გაჰქონდათ და გამოჰქონდათ იმ აზრებისთვის, რომლის საბოლოოდ თამაშმა არ დააკლეს.

— მაგათ დაგდლუჭეს, ეხლაც და წარსულშიაც,—ჯიბანობდნენ ჩემ თანამგზავრები თითქის ერთ ხმად.—სანამ ხეთაგდნენ, რომ ძალა ხალხის ხელშია, თავი მოიკატუნეს, „ერთობას“ თანაგრძნობა გამოუცხადეს, რაზმებში ჩაეწერნენ, ძმებად გაგვიხდნენ და ეხლა, რაკი ხალხი დროებით შეღრა და ბარბაროსულ ძალას დაეშორნილა, თავი მაღლა აიღეს და ისეთისავე მედიდურობითა და ბატონ-ყაყოურად გვეყურებენ, როგორც ოცისა და ოცდა ათი წლის წინად.

სამტრედიაში რაღენიმე ნაცნობი შემხვდა, ვიკითხე იქაური ამბავი და იმნაირივე უნუგეშო და უსიამოვნო ამბავი მითხრეს, როგორსაც ეხლა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში ვაიგონებთ. ჩვენთან ერთად სამტრედიაში მოვიდა სამხედრო მატარებელი ერეენის პოლკის ერთი ბატალიონთა, დაბა დაბინავდა. ამ გარემოებამ სამტრედიელები ცოტა არ იყოს გააბარა, რადგან ამ ბატალიონს სამტრედიელები თურმე იცნობენ ძველად, რომელიც ძალ-მომრეობისა და განადგურების გზას არ ადგია და ასეთი ჯარი ეხლანდელ დროს ღვთისგან მოყვანილსულ ანგელოზად უნდა ჩაითვლოს...

მატარებელი სამტრედიაში კარგა ხანსა სდგას და აქ ყოფნის დროს სადგურის უფროსმა მიიქცია ჩემი ყურადღება. ოქტომბრის პოლიტიკური გადაცვა თავდებოდა, რომ მე სამტრედიაში მომიხდა დამის გათევა და მეორე დღეს დიდ მატინგზე დასწრება იმ დროს, როცა სადელეგატო მატარებელმა გაიარა ქუთაისისაკენ. წინა დღით სადგურის უფროსისათვის მთელს მოსმსახურეებს ბოიკოტი გამოეცხადებინათ და ამისთანა პირობებში სამტრედიაში დარჩენა უფროსისათვის შეუძლებელი-ღა იყო. ის დრო ეძებდა, რომ მოშორებოდა აქაურობას და რა-კი გაიგო—სადელეგატო მატარებელი მიდისო, ნება გამოითხოვა ქუთაისში წასასვლელად. მეორე დღეს, როგორც ზევითაც ვთქვით, სამტრედიაში დიდი მატინგი გაიმართა სამხედრო წესების შემოღების შესახებ დასწელეთ საქართველოში. ბევრის თათბირის შემდეგ მატინგმა რეზოლუცია გამოიტანა ტფილისში გასაგზავნათ და სწორედ ამ დროს გამოიარა სადელეგატო მატარებელმა. მთელი ხალხი მატარებელს მიაწყდა და რეზოლუცია ატანობის წასწვლელებს. ვიღაცამ მატარებელში შეამჩნია სამტრედიის სადგურის უფროსის ყურება, ამან სხვას შეატყობინა და შეიქნა განგაში. ბევრი რომ არ შევწუხო მკითხველი ამ ამბით, ვიტყვი მხოლოდ, რომ უფროსი თავის სახლიდან მატარებლიდან გადმოსვეს და სამტრედიაშივე დასტოვეს—ბოიკოტ გამოცხადებული კაცი დიახი არ არის სადელეგატო მატარებლით სიარულთან. ასეთი სისასტიკე, მართალი გითხრათ, არ მომეწონა, მით უმეტესად დამნაშავესთან ერთად ისჯებოდნენ მანდილოსანი, უფროსის ცოლი და უმანკო ბავშვები. თითო-ორაოლა ვფიხარი ჩემი მოსაზრება, მაგრამ არავინ მიიქცია ყურადღება.

ეხლა იგივე უფროსი სადგურისა დამხედა სამტრედიაში, მაგრამ უნდა გეცყურებინათ, რა მედიდურად ეჭცევოდა სადგურის მოსამსახურეებს, ხელქვეითებს—კაცს ეგონებოდა, ქვეყანამ მას გამოუცხადა მორჩილება და იმის მეტი ბრძანებელი არავინ არისო. ამ სანახობამ გული მატკინა და ძალიანაც მწარედ მომიგონდა ხალხის ბრძოლით თქმულება, რომ კაცს სამარე გაასწორებსო.

სამტრედიიდან რომ სენაკისაკენ ჯავემგზავრეთ, შებინდებული იყო. აბაშისა და სენაკის სადგურებზე მოსამსახურეებისა და სამხედრო ხალხის გარდა არავინ იყო. ეტყობა, ხალხი აქ შეშინებულია და ღამე სახლიდან გარეც ვედარა ბედავს გამოსვლას. ამ გარემოებამ მეც დამაფიქრა—სენაკში ღამის გათევას ვპირობდი და აღარ ვიცოდი, რა გზით მოვახერხებდი სადგურიდან სასტუმროში წასვლას. გაჭირვებისაგან გამომიხსნა ერთმა ნაცნობმა ოფიცერმა, რომელიც მგზავრობდა გამიწია და სასტუმროში მიმიყვანა, სადაც რამდენიმე საათი გატარა ჩემთან და შემდეგ რამ საყურადღებო მოამბო, მაგრამ ეს შემდეგ წერილისთვის იყოს. **ალი**

ახალი ამბავი

◆ **ბრძანებანი.** ტფილისის გარნიზონის მიმართ ორი ბრძანება გამოიცა: 1, „ქვეითთ ჯარის-კაცთ არ შეეძლოთ უფიცროდ გაჩხრეკა და თუ ასეთმა შემთხვევამ იჩინა თავი, პასუხს ამძევებს ოფიცერი ამა თუ იმ პატრულისა ან რატისა“; 2. „ქვეითთ ჯარის-კაცთ ნება არა აქვთ, უფასოდ იმოგზაურონ ტრამვაით.

◆ **ჯარის მოშველება ტფილისში.** ტფილისში ჩამოვიდა ადგილობრივ გარნიზონის გასაძლიერებლად ბატალიონი გნენ-ის პოლკისა. ეს ბატალიონი 3 რატისისგან შესდგება და თითო რატა სამთარ დროის წესზეა შემდგარი.

◆ **სამხედრო წესები.** ქალაქში ხმა დაჯილ, რომ მალე ბორჩალოს მაზრაშიაც დამოქმედება სამხედრო წესებიო.

◆ **კიდევ მოსამსახურეების დათხოვნა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ახალ ცირკულიარით კიდევ დაითხოვეს 268 მოხელე და მუშა-ხელოსანი. დათხოვნილთა უმრავლესობას ქართველები შეადგენენ.

◆ **ინჟინერების სამსახურიდან გადაყვანება.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგის ნაწილის ინჟინერები ხუდინისკი, პავლოვსკი და თუმანოვი სამსახურიდან გამოუშვეს, მაგრამ საქმის გარჩევამდე სამსახურიდან დაგდაყენეს. რკინის გზის სამსახურიდანვე დათხოვნეს ეკიმი ბოგორაზი და ინჟენერი კულანდა.

◆ **ანაფორის გახდილ მღვდლების საქმე.** სასინოდო კონტორამ მოისინინა საქმეები მღვდლების აკმსენტი მგვრელიძის, დიომიდე შილაკაძის და ვლადიმერ ელიავისი. პირველ ორ მღვდელს კანტორამ ნება დართო ანაფორის გახდისა, რადგან ისინი თხოვნაში პირადაპირ აცხადებდნენ, რომ დარიგება და ჩაგონება ეპისკოპოსისა ჩვენზე მეტი იქნებაო. ვლადიმერ ელიავს შესახებ კი დაადგინა, დასარიგებლად და ჩასაგონებლად გადაეცეს იგი მამა დავითის ეკლესიის წინამძღვარს მ. ნუბარ მაჭარაშვილს.

◆ **მღვდლის შეპყრობა.** როგორც სოფ. წრომიდან (ქართლი) გვატყობინებენ, სამაზრო პოლიციის შეუპყრია და გორის სახპყრობილეში გაუგზავნია ადგილობრივი მღვდელი ალექსანდრე დავითაშვილი.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა დაფიცება.** 7 თებერვალს, დილის 7 საათზე, ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის საათარატო თათაბრი თავი მოყარეს მოხელეებს და დაიფიცეს. პირველად დაიფიცეს მართველობელები, მერე სომეხ-გრიგორიანნი და სხვანი.

◆ **სასოფლო-სამეურნეო თანხა.** თელავის მაზრის ურიათუბნის, შაშიანის, კალაურის, ვანჩაძიანის, ვინტრის, წინანდლის, კონღილის, ქვემო ხოდაშენის, კისისხევის, „ალიარის“ კურდღელაურის, გულგულის, რუისპირის, ყარაჯალის, ზემო-ხოდაშენის, ოყოისა, ალავერდის და ქისტაურის სოფლის საზოგადოებებს, როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, ჰქონიათ ადგილობრივ ბანკში სასოფლო-სამეურნეო თანხისა ნაღდ ფულად 15,583 მანეთი და სარგებლიან ქაღალდებით 45,700 მანეთი.

◆ **დაპატიმრება.** როგორც სოფ. წრომიდან (გორის მაზრა) გვატყობინებენ, ადმინისტრაციის გაუჩხრეკია ადგილობრივ მემამულის თავად ლევან ამირინდოს ძის ციციშვილის სახლი. სახლში ვერა უპოვნიათ რა, მაგრამ თვით ციციშვილი წაუყვანიათ და გორის საპყრობილეში დაუპატიმრებიათ. დატუსაღებულს ციციშვილს სახლში დარჩა მოხუცი დედა და რამდენიმე წვრილი შვილი.

◆ **ფულის გადადება.** კავკასიის ნამუსტნიკმა 40 ათასი მანეთი გადასცა ტფ. გუბერნატორს. ამ თანხიდან წელს საქონლის ეპიდემიით დაზარალებულ გლეხებს უნდა მიეცეთ მოკლულ და დახოცილ საქონლისთვის.

◆ **ახალი წიგნები.** იბეჭდება და ჩქარა გამოვა „თავისუფლებისთვის მებრძოლნი“—არნაუსი და „დედაკაცის აწყმო და მომავალი“ ა. ბაქრაძისა. გადმოითარგმნა ქართულად: „როგორ მოიპოვეს მოლგარელებმა თავი-სუფლება.“

◆ **სამღვდელოების ფული.** სინოდმა დამატებით 17,727 მან და 30 კ. გამოუგზავნა სასინოდო კონტორას საქართველოს სამესაროსოს კრებულების და მისიონერების შესანახად.

◆ **დაზარალებულთა ფული.** მკითხველებმა უკვე იცით, რომ სომეხ-თათართა შეტაკების დროს დაზარალებულების სასარგებლოდ ქალაქმა ბუთასი თუმანი გადასცა. ეს ფული კომისიამ მაშინ თათარ-სომეხთა შორის გაჰყო. ეხლა კომისიამ ამ ფულიდან 500 მანეთი სხვა ეროვნების დაზარალებულთათვის გადუდგინა.

